

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

დიდება  
ოქტომბერს!



ლუენა-16

№ 21 (1343) ნოემბერი 1970

**საქსი**

გამოცემის 47-ე წელი ფასი 20 კპ.



ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს ჩაბვილია...

# ქართული დედებს

მოგესალმებით დედებო, გმირებო ახალ სუთწლედა, თქვენ იმავე მშობლის ნანა ხართ, შოთას რომ აკვანს ურწევდა.

მისი მოდგმა ხართ, ერისთვის, ვინც არ ზოგავდა არაფერს, მამულს რომ ცხრა ძმას უკლავდნენ, უზრდიდა სამას არაგველს.

ამ საქმეს, საშვილიშვილოს, არც ახლა ეღალატების, თქვენა ხართ თავიდათავი ერის ზრდისა და მავების.

შრომის და ბრძოლის გმირებო, გმირი დედობაც გვაჩვენეთ, ცივ ნიავს არ მოგაკარებთ, ოღონდ ნუ გადაგვაშენებთ.

ოღონდ მოგხედე და ვფიცავთ ყველა კაცების სახელით, ნერვებს არასდროს აგიშლით, მთვრალი არ დაგენახებთ.

საკუთარ თავსაც დღეიდან მომჭირნობას შევაჩვენეთ, გრამს, კაპიკსა და სანჯიმეტრს აწი არავის შევარჩენთ.

ხელფასს უკლებლივ მოგიგანთ, ზუსტად განვსაზღვრავთ ფერილმანსაც, გზის ფულს თუ თვითონ არ მოგვცემთ, არ „დაგიქვითავთ“ იმასაც.

სამსახურიდან შინ მოვალთ, ყოველ ჩვენს ნაბიჯს გაუწყებთ, კრებებს არ მოვიმიზუნებთ, საეჭვოდ არსად გავუხვევთ.

დილით საუზმეს მოგართმევთ, საღამოს კონცერტს დაგასწრებთ, ყოველთვე ჩემებს გიყილით, თვითონ გაგზადით და ჩაგაცმევთ.

ჩხუბში არასდროს აგუვებით და არც ქიშპობას გაგიწევთ, თქვენ როცა წყველას მოსდგებით, ჩვენ მაშინ ლოცვას დაგიწყებთ.


ოღონდაც ერზე იფიქრეთ, ოღონდ ამრავლეთ აკვნები, ახარეთ ჭერი ქართული, რითა ვართ სხვაზე ნაკლები?!

**გრიგოლ ჩიქვილაძე**

## ილილია

ხელოვნურთმებიანმა ახალგაზრდა ქალმა ხელოვნური ყბა ჩაისვა, ხელოვნური კბილები გამოირეცხა, ხელოვნური აბრეშუმის გრძელი პერანგი გაიხსადა, ხელოვნური შალის კაბა გადაიცვა, ზედ ხელოვნური ტყავის ქაღალდი შემოირტყა, ხელოვნური წარბები დაიხატა, ხელოვნური წამწამები აიპრისა, ხელზე ხელოვნური ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი გაიკეთა, ხელოვნური მკერდი ხელოვნური მარგალიტების მძივებით დაიმშვენა, ხელოვნური „ბამბის“ პალტო შემოიცვა, ნიანგის ხელოვნური ტყავის ჩანთა მხარზე მოიგდო, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტშიც შეიარა, ხელოვნური ღიმბილი ბაგეზე აათამაშა, სმამიც ხელოვნური მხიარულება გაურია, მერე ხელოვნათა კლუბში წავიდა და დიდი ხელოვნებით დაიცვა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხი.


... და ეს ყველაფერი ძალზე ბუნებრივად მოხდა...  
დიდემ კატარაია



რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი რთველში.


თბილისი. ხელსაწყოთა მშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა საცდელი ქარხანა. საზენიკლო-ამწყოში სამქროს უფროსის — ალექსანდრე მიხეილის ძე ბარბაქაძის მისაღები ოთახი. შემოდის იური თალაკვაძე

იური: შეიძლება, პატივცემულო უფროსო?  
 ბარბაქაძე: რა ბიუროკრატი მე მნახე, შემოდო!  
 იური: გამოქვეყნებული განცხადების მეშვეობით შევიტყვე-  
 რომ ქარხანაში მიღებულ მუშებზე გაიცემა საგარანტიო ხელ-  
 წერილი ბინებით დაქაყოფილების შესახებ.  
 ბარბაქაძე: მერედა, გაწყობს ასეთი პირობები?  
 იური: მაწყობს რომელია, ვიწროდ ვცხოვრობ.  
 ბარბაქაძე: შენ ეს მითხარი, ფული გაქვს?  
 იური: მაინც რამდენი დამიჯდება?  
 ბარბაქაძე: ეგ ფართობზეა დამოკიდებული. რამდენი ოთა-  
 ხი გინდა?  
 იური: სამ ოთახზე ნაკლები რაღა იქნება.  
 ბარბაქაძე: კეთილი. ოთახში ხუთას მანეთს გადაიხდი! სამ-  
 ში — ათას ხუთასს. ყაბულსა ხარ?  
 იური: რა გაწყობა.



— ოცდახუთი წელია, მუშაობდ მუშაობ, ახლა რატომ მოითხოვ საწყობში გადაყვანას?  
 — აბა, მე მთელი სიცოცხლე ნაბავი ვხვეტო და სხვებმა— ფული?!

(იური გადის, შემოდის ანზორ ეჯიბაძე)  
 ანზორი: კვალიფიციური მუშა-სპეციალისტი განლაგართ!  
 ბარბაქაძე: დიდად სასიამოვნოა! ბინა გაქვს?  
 ანზორი: ახალს ვამჯობინებდი.  
 ბარბაქაძე: რამდენ ოთახს მოითხოვ?  
 ანზორი: ერთი-მეყოფა.  
 ბარბაქაძე: რვაასი მანეთი გაწყობს?  
 ანზორი: კარგი, მოგართმევთ, რაცა ღირს.  
 ბარბაქაძე: ოღონდ დროზე! ხომ ხედავ, რიგი დგას. ისე  
 კი ენას კბილი დააჭირე, გესმის?



— ბატონო პროფესორო, დავიღუპე, დისერტაცია მომპა-  
 რს!  
 — მაგაზე უკეთესი არაფერი შევიღმს მის ოჯახში!


(ანზორი გადის, შემოდის კარლო მათითაიშვილი)  
 ბარბაქაძე: კვალიფიციური მუშა-სპეციალისტი ხარ, მო-  
 ხვედი სამუშაოდ, ბინა გინდა! ასეა, ხომ?  
 კარლო: დიან, ბატონო უფროსო.  
 ბარბაქაძე: რამდენი ოთახი?  
 კარლო: სამი.  
 ბარბაქაძე: ორი ათასი მანეთი გაწყობს?  
 კარლო: მეტი რა გზაა.  
 ბარბაქაძე: ჩქარა, თორემ სხვებიც არიან!

(კარლო გადის, შემოდის ზაურ ივანიშვილი)  
 ბარბაქაძე: რამდენი ოთახი, ბიჭო?!  
 ზაური: ორი.  
 ბარბაქაძე: ათას ორასი!

(ზაური გადის, შემოდის გურგენ გუგუშაშვილი)  
 ბარბაქაძე: რამდენი ოთახი, ჩქარა!  
 გურგენი: ორი, ბატონო!  
 ბარბაქაძე: ათას ორასი!  
 გურგენი: ათასზე მეტი არა მქვს.  
 ბარბაქაძე: რაკი ნაღდია, მოიტა! თავისუფალი ხარ!

(გურგენი გადის, შემოდის ცეზარ ხატიაშვილი)  
 ბარბაქაძე: ერთი, ორი თუ სამი?  
 ცეზარი: ორ ოთახში ათას ორასი მოგიტანეთ.  
 ბარბაქაძე: აგაშენოს ღმერთმა, ყოჩაღ!

(კარში გამოჩნდება უცნობი)  
 უცნობი: შეიძლება?  
 ბარბაქაძე: რა ბიუროკრატი მე მნახე, შემოდო. ბინა  
 გინდა?  
 უცნობი: ჩვენ თვითონ ვარიგებთ ბინებს, ამხანაგო ბარბა-  
 ქაძე! ივინდა ერთი ოთახი თქვენც შემოგთავაზოთ.  
 ბარბაქაძე: რა ბინა, არ მესმის...  
 უცნობი: რა ბინა და, ერთსარკმლიანი იზოლირებული  
 პატარა ოთახი საწოლით, მაგიდითა და სკამით. გაწყობთ?..



— მაგიკო, ფახგურტს ოფიცინაბი თამაშობენ?  
 — არა, შვილო!  
 — აბა, რატომ იძახიან სულ მოტყუა, მოტყუაო?!

**ფ ა რ ღ ა**

ეს წერილი აღმან ილიას ძე კოკოვეს და მურად ბორისის ძე ალბორს კედლებზე. პირველი ჯაგის რაიონის სოფელ წურს მკვიდრია, მეორე თავის არსებობით ცნობილი რაიონის სოფელ გურს ამწვენიერის. გაქურდულები რომ არ იყოს შემოსული და მანვე დაეპყრო, ვინ ჩაეთვალის ცუდსაობად. ამ კვილი სურველი ჩამოყრდენი აღმან და მურად გორის რაიონის სოფელ მეგრისხევი და თან თვის სული მადლი მჭობრების ხარბი ჩამოყვას — სამი ნიშა და ერთი ზნაღ. მათ შორის ორი გრძელეული ჭობა პირველი.

— გული გვიკვდება ჩვენს გაზრდილი ხარბის რომ ვეიფით, მია კაცი! — ეუბნებოდა აღმან კოკოვე ირი ხარის მყიდველს, მეგრისხევილი ღმინიერი გინებს. ამასწავითი გვევს გამოსრდოლი, კარგი მეგრისხევილი სულ ერთად დავდივით მიღწერს, მაგრამ რა გენია, სამწოდლომდე გქობინებდით და დღესღამე ფასინი საწუქები უნდა მივართოთ. გარკვევით, ჭობაღმინი სუბას ღობრამდე არავი დაგვჭირდება და იმასე ზომი ფული უნდა.

მყიდველი სულ არ უსმინდა, რისთვის სჭირდებოდა გამყიდველს ფული. ის ხარბად შეესწავლა კუნტარმა ხარბის და ერთი სული მკინდა, რისთვის შერეავდა ერთში. მიხულებმა ორი ხარბი 900 მანეთი ჩაითავას, ხოლო მეორე ორი ხარბი 500 მანეთად გაიყიდა.

ბიჭები მეგრისხევის რესტორანში შეიჭრნენ და მიმტანს ჯერ სამი ბოთლი „ატურის“ მგზავს უნაჩანეს. რესტორნის მუშაკებმა იცნეს მიღიან ჩამოსული მგზავრები, რომლებიც ვასებებს მსხვილფეხა საქონლით ამარაგებენ ხელს.

# მეგრის ხეობები

— ბილი მოვიკვდეს, თუ მაგათ დღეს 12 ბოთლი არ დავაგვიფინო, — და მიმტანმა ერთი ბოთლი სტუმრებს უფშეკა. ახარტული შესულებმა 10 ბოთლის შობანს მიითხივნენ, ხოლო ხახვარი საბოლოო არ იყო გასული, რომ მესისიუსს შობეს. ციტა ხანცი და მურად ალიბერი ტლანკად ბეჭნიდნენ მუღლის წინ. ავთამაშეშენების ქვევრევაშას მწეროდნენ ასლანა და მურად.

— ამ ბუღინი წუთებში, გორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, ზნაურის რაიონის გულებს საპოთა მურეზობის ფერმის განგე შევიდა ადგილები.

— გემოვინდი, ოთხი ხარი მოგვკვას, ხარბი ისე არ მენაგება, — აღნიშნა დრომ დასწრებულმა ფერმის განგე, — როგორც ის ამბავი, რომ ქურდები ვერ იპოვნენ ამ მე დაზარალებულს ამ მელსაო. უკანასკნელს ყოველთვის მეტი ბრალდებები აქვს. ილია მის მიმართ სამუთების შეგნება. მათ არავინ იცავს.

უკვე ბიჭული იყო გამყოფილებთან უფროსი ლეიტენანტი ალბერტი გიორგის ძე ილიური და ლეიტენანტი ალექსი დავითის ძე ოლივილი

ქურდობის მაცნეს რომ გაყენენ. დათვალთერებს ტყევიავის სასაკალო, კარაწი, ფლიკი და შუგუდ მათმა მანქანა გზის მეგრისხევისკენ აიღო. სასადილო მიწეებს ტრანტანის ნაობას გავდა იტყურობა. პირველიყოლა ნასურული გვერდობია. მივიღის მუშაკები ესახებენ ხალხს, ყველა ხომ შორალი არ იქნებოდა. ოლივილი გულმისხევილი გამოავლინენ გაყენი და მანქანა შიგან გობანებზე შეაყენეს.

სუბას უკვე სურტირეკული ოლი დავუღოვდა. დიდი ვაი-ვაილანა მინქანა მადლი სურს ადგილდა და იქიდან მოვარის შუქზე კარავდა ჩანდა რიყინა ზნაურს ირი ცენტრისის სილუეტი. მდევრებმა კავალერისტებს ვნა გადაუღვეს და ასლანება ოლივილი ცეცხლსმოიღოლი იარაღობინ ერთი ორი გაუშვეს. ასლანი ჩერქეზულ ჭაბუკან ჩამოტყდა და ობებში შერტობს აპირებდა. იგი ფხვით გამოათორეს უკან და პირველ დაედეს. ჩიობინ ფინური სისტების დანა და 18 გასაღები ამოვალეს. სიცივიეთი გამზდარი და გატასავით ტანმოიჩილი ცხენი კი ადგილიდან არ იძვროდა. მურადი უფრო უწინადა მოიქცა. მან ოსური ხახვალი და ფულის ნაწული მიიჩნადა დაგასვა ადგილზე ოლივილი.

ფა. მ. ახალიძისა



— მძინე გიმიკო, საღვთისკანს არ დავსვ? — მასსულ, ბაპარე, ბაზრად დავსვო!



— ნიკოლა, მძინე დასაკლავი მივკვასო! — რა მინებელიაო პას, მანინე შიშლითი ვასლიან ხალს!



— პიქია, გავმინო ვოტორკოსის, სანაგ ხახვოშოლს, სარეთი ბავსაშოლი!

ფა. ბ. კანდელაკისა



— უხეხური ფისასილა ბაშო? — პიქია, — ხეზა ვინ ამისარავითი, სანაგ ვინებო? — რიბოხა.

## მე, ჩემი ქმარი და ჩემი

მე და ჩემი ქმარი საკმაოდ გვიღალდა, თბილად და, რაც შივარია, თანაბრადვე კეთილგონი. როგორც იცით, კანდალზე ვართ. ჩემი ქალი უბავითინ სკვას არ გვიღებინა: ვი, შენი შიშლი, ახლადვე, გენაცვალე! შენ ილიანი მოილოდე და...

მე და ახმა მერე მადლიერებით მუ ავსივინ და გამზადებული მუ გვევითი ყველა სადგომი თუ სარწმუნო მოვიმანას: ფულის მკობის, საჭირო მივით მივინება, პირველდროინდელი მოვიმანას. მისი და ერთი გვიჩრავდა, ხვალ მთავრე და ზნა მანვე გამოვყავინება. ჩანდა-დხარავნე რომ არ-აფხერი ვიძევაი, გულის და გუბის გამოვყავილენ ბარის სასე წაუხვია!

კვიდე კარგი, შიშლის მონაგა ასე გაიბრინა და ოჯახში ყველაფერი სადგომად მი მინებდა, თორემ ქმრის დამხარეი მარტივად წაგვიყავილენ მადლიერება ძვილს განვხვებოდა. ახლა კი ჩემი ქმარი თავის დამხარეის თითონი მხარის: დღემდე სულ ბუბრი ერთი მანეთი მანინე ხომ უნდა. ვერ ერთი, თანამკრავობის, მეორე ამანაგ-მეგობრებზე უნდა ხარვის დრო-დროდო, მერე და გარეთი მათობა-მეგობრისადილი მანაკაცებს, მერე-მეტე ემართებათ, და მინე მიხილდე ტაქსით მიიხარინებდა: აღმართს ვერ ვი-განო.

ჰოლა, იმ სამი მიხილდან სახლი რადა მოვანოს! მადლიდა უფალს, პავითინი აკის სასილს ვაგრებს და რადა მანებვის გულმისთვის თავი ვის გააღამდებოდა?

მეტი რა მოხდა, რომ ჩემი ახმანავების ქმრები თავართი ცოლებს ასარეკებენ ფიგურას საბოთი, სიასაზურის ქურბით თუ ფრავალი ჩეჭებობს. ან აგარას ისე უმანებენ, რომ ცოლებს ასე კი იღას, სარწმუნო როგორც საჭიროდებდა. ვისაც რა შეუძლია, იმას აკვირებს, ახმა ზეითი ის ძალაა.

შეზად მოვასხენით, ჩემს ქმარს ფარავი ამანავით თუ მეგობარი ჰქავს—მითვი. განსაკუთრებით ქალები (ერთხელ მიიხარა კვიდე, ქალებში მომეკლას დღემთაო, უამისი ფულა; მუე ხომ ქალი ვარ), საკმარისა რომილმე მათგანდა საკუთარზე მკამრს გენაცვალე, ან ჩემი საცარვლო მიიხარს, რომ ამ ამგლოზებმა ფოთები გაწაშლეს და ბული გაწაშლეს:

გიორგი, ის რა ქმარი ვაფას, გუშინ დავერე და შუშვე ვუთხარი გავოცნი-მითვი, და ჩა მომწებულად მიმანება: შუშვეადა მე იძიებოდა. — ბავდავითი გვიღალდა ენა აქვს ერთხელ შერეული მიმწერა: „ჩემი ქალღმერთი, ჩემი დედაბაბა“. ჩემზე რომ ასე იმარება, წარმომიხედვინა, შენ როგორ გამკობს.

## ქმარის მეგობარი ქალები

— ერთხანს სიხსნაყლებმა დამჩინდა და თითქმის ყოველდღე ცხელ-ცხელი შემეჭირა დიდილ მოქონდა ჩემთვის. — ჩემი ქმარი სულ უწინადა ცხენით იჯდა და შენი კლემენტის წყა-ლითი უკუვარდა ამ შორებშია, ცხელდა ამ კი ვაბოძო.

— ქმარი მეგობ, შენ უნდა დავაგვიმო, რა ჩემი ბიჭობის სასურელი მი-შოვინა, შენ, ახლა, სულ ვარწამი და ნიდასი გვიტყობს. — ახლა თუ სამაშობლო ვარ, მარტო მისი წყალობითი. — თუ კომინდარგობა დავაბოძებო, მთელად მან უნდა ვვმად-ლიდე.

— ბოთი უწინადა ერთი მეგობრისად და სულ ვაგივლებობი, ბინის მიღებში რომ არ დამხმარებოდა. — ახლა რომ აფარე კი მკვებს, მაგან არ გამოგამგანინა ფინური სახლი? — მამოშინებასი.


— მივინდა, — მანქანა, — განაგვიდა, — დამაგვიდა, — წამოვივანს!

— მკვიცი, — გამაშვირება, — ამისისა, — შენიშავადა, — დამწერა!

გიყოლასი გაიფიქრა დავრწმუნული მკამრით ამბინი სიხარული. ის რა ქმარი მომალა ჩავედი შეამდებინა მე კი ვმწერე: ასეთი უფარების და ოჯახისადილი გამოვყავილენ რამ ვანაგანა საქმეთა განყოფილებაში ავლარია. ავტორს, ჩემი მუღალე, სხვა ვინს ადვილდა უწინადა ვერე მოაღწევდა-ან გავცემოდა, დავიღებოდა, დამიღებოდა. სხვას ერთი ჩას-ლოვინებო, სიცილითი მუგინებდა, ან ოსობითი ჩამოგარბებოდა. მანინე ქმრის ექვანა.

თქვინ კი, ქალბო, ჩემი ღირსილი მადლობა, იქვე რომ არა, საკუთარ ქმარს ამდგეს, მეორე ვინა ვინა ვინა ვინა ვინა, იქვე კი ვმწერს თან-დასწრებით მათგორი მუე ასევე სიცილითი ვაღმეგობრებო.

პავლევილი იქვენი ჩემსი



ნიანგის რაციონალიზატორული წინადადება.

# საუბარი

## ლოტერეა ცყრაზე

**რადამსიის წინ ორნი იღებენ.** ერთი შავთვალეა იყო, მეორე — ცისფერთვალეა.

— ფული არა გაქვს? — შეეკითხა ცისფერთვალეა შავთვალეს. შავთვალეა წამით ჩაფიქრდა. მერე გაიღიმა.

— კი მაგრამ, გუშინ არ აიღე 500 მანეთი?

— ჰო, მაგრამ ოთარისა მემართა 200, 100 — ნათელასი...

— 150 ვივის, — დაეხმარა შავთვალეა.

— ჰო, ვივისი, — არც გაკვირვებია ცისფერთვალეს.

— შენც ხომ აიღე ერთი კვირის წინ 1000 მანეთი? — კითხვა შეუბრუნა ცისფერთვალეამ.

— აბა, — ნაღვლიანად ჩაიბურტყუნა შავთვალეამ.

— თუმცა რას გეუბნები, — უკან წაიღო სიტყვა ცისფერთვალემ, — სამზარეულოს მოშენებაში არ მიეცი 800 მანეთი?

— რვაასი კი არა, სულ, მთელი ჰონორარი.

— ნუ უმატებ.

— დედის სულს გეფიცები!

— კარგი, მჯერა.

საუბარი რადამსიის წინ ხლებოდა. საათი 4-ს უჩვენებდა. იქვე, ახლოს, ხუთი კაცი იდგა და ლაპარაკობდა. ხუთივე პოეტი.

— მე არ-ვიცი, გჯერა თუ არა, ეგ შენი საქმეა, — ოღონდ გაბრაზდა შავთვალეა, მაგრამ ერთი თვის წინ ლექსების კრებულში 1200 მანეთი რომ აიღე, ის რა იქნა? მოიცა, ამ წუთშივე დაგითვლი: 200 მანეთი ნათელას ქურჭი, 300 — მანქანის რემონტი, 300-იც ცოლ-შვილს გაატანე სოფელში. დანარჩენი 500 რაღა იქნა?

— ჯიქია მოვიდა, ჰირღებოდა და მივეცი.

— გაჩერდი, თუ ძმა ხარ! ჯიქიას 400 ჰირღებოდა. შენ 100 მივიცია. დანარჩენი მე მივეცი.

— ჰო, კარგი, დავხარჯე, მერე რა გინდა?

— არაფერი, აგრე გეთქვა.

ცისფერთვალეა ჩაფიქრდა და გვერდზე გაიხედა. საათი 4 საათსა და 30 წუთს უჩვენებდა. რადამსიის წინ მდგარი პოეტები წასულიყვნენ და ახლა პროზაიკოსებს ვაეშართათ სჯა-ბასი. ექვსნი იყვნენ.

— მოიცა, მოიცა, — გამოცოცხლდა ცისფერთვალეა.

— იმ გოგოს რომ გაყევი სოფში, შენ გგონია, არ ვიცი?

— შენ კი არა, მთელმა თბილისმა იცის, — ნირი არ შეცვლია შავთვალეს. — მერე, ეს აუცილებლობა არაა თუ? — და იგი თვალეებში შეაჩერდა ცისფერთვალეს.

— ჰო, კი, მართალია! — დაეთანხმა ცისფერთვალეა და მაინც არ დაცხრა, — შარშან პრემიაც აიღე. ერთი გამომცემლობიდან 1030, მეორედან — 850, ახლა წიგნის ფული 1500... ეგ არაფერი?

— მშვენივრად იცი, 2000 სახლის მშენებლობაში შევიტანე, 200 — კონსტრუქციის არ მქონდა და შევიკერე და... — შავთვალემ ზუსტად ჩამოთვალა დანახარჯი.

— „ნიანგის ბიბლიოთეკის“ 600 მანეთი? — არ ეშვებოდა ცისფერთვალეა.

— პოლონეთში ვიყავი, — ისევ მშვიდად მიუგო შავთვალემ.

— მართალია.

ორთვე დაღუშდა.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ხომ არ იცი, ნინიაშვილს როგორა აქვს საქმე? დაწერა რამე კარგი? — იკითხა შავთვალემ.

— კი, აბა! 25-ფორმიანი წიგნი.

— კარგია, თუ კარგად გამოუწერეს. ზურაბ რომანაშვილსაც მშვენიერი წიგნი გამოუცია. მომეწონა, ძმაო. მთელი 35 ფორმაა.

— ეგ რაა, მაისის გეგმაში 45-ფორმიანი აქვს შეტანილი.

— მოვეშვით ამას, შენ რას შვრები? თუმცა რას გეკითხები. შენი წიგნი 20 ფორმა არაა?

ცისფერთვალემ თავი დაუქნია.

— აჩერად მე გაჯობე. ჩემი 30-ანია.

ცისფერთვალეა დაღუშდა.

— წავედით, ძმაო, რა ექნათ, როცა არ არის, არ არის. თავს ზევით ძალა არაა, — და შავთვალეებიანი წასასვლელად შეტრიალდა.

— ნახვამდის, მაგრამ ზეგ ლუდი და ხინკალი შენზეა! — ესროლა ცისფერთვალეამ.

— რატომ? — ისევ დინჯად შეეკითხა შავთვალეა.

— სარეცენზიო 40 მანეთი? ზეგ რომ იღებ, არ გახსოვს?

— კაცო, იცი რა ვითხრა? — ახლა კი ვაცხარდა შავთვალეა, — შენ რომ გაზეთიდან 37 მანეთი გერგება ხედავ, ვერ იმას მივხედოთ და მერე ჩემზე ვილაპარაკოთ! წავედით. მახლას!

— მახლას! — ჩაიღუღუნა დამარცხებულმა ცისფერთვალემ და ისინი გაშორდნენ ერთმანეთს.

ხუთი სრულდებოდა. რადამსიის წინ შექმნილი პროზაიკოსები წასულიყვნენ. რადამსიისავე ახლა 7 დრამატურგი და 4 სცენარისტი მოემართებოდა. უკან მუსკომედის ორიოდ ლიბრეტისტი და ერთიც ქართულიდან რუსულად მთარგმნელი მიყვებოდათ.



## ვაჟა უვაველას


ასლი იმას, ვისაც ეხება

უნდა მოგწეროთ ამბავი, არწივო მაღლის მთისათ, — ამ შენის სახელობისა ქალაქში პროსპექტისათ. დიხაბაც, გვეამაყება, სიტყვა ლხენისა გედისათ, ჩვენთა წინაპართ, ძველადა, თავს ჭერი ედგათ ცისათ... ახლა კი მათი მართვენი ნაკლებ არა ვართ სხვისათ, ზოგს შეგვხვდა ბლოკის სასახლე, ზოგს კიდევ — აგურისათ. თავადაც მოგვხსენება, დაზრდილ ვართ წყაროს წყლისათ, აქ რომ ცათმზრჯენებ აშენდა, იქნება ცხრაათ წლისათ, მსხვილი მილები ჩაყარეს რუსთავის ფოლადისათ, იმას კი არვიან კითხულობს, წყალი დის, თუ არ დისათ. ან ცივი იყოს, ან ცხელი როგორც წესი აქვს რიგსათ. ჩვენი თავ თუნდა ჯანდაბას, ბრალი გვაქვს სტუმარისათ. ფულს მაინც გვახდევინებენ, ვის რცხვენავ სირცხვილისათ. ვისდა არ შევერბაძიძეთ, ამბობენ: „ესა“, „ისათ“.

უკვე აივსო ფიალა, ღმერთმანი, მოთმენისათ. იქნება გადმოიხედო, შუქი მოგვაგლო მზისათ, ერთი შენებურ დაჭკივლო, კვალი გაიგონ გზისათ! იქნება, წყალი გვაღირსონ, საათი დადგეს ხსნისათ, ჭკუას მოვიდეს, ვინც ჯერ არს, ჩვენც აღარ ვიყოთ ჭირსათ.

ვაჟა-ფშაველას პროსპექტის მე-4 კვარტალის მცხოვრებთა დავალებით: **სამთისო არჩამაზვილი** **ალექსი ბინძარაული** **ალექსი არაბული** **ალექსი მცხატაური**





1970

— რა ამბავია, მიწა იძრება?!  
— არა, სარდაფებში მკვარი აღუდდა.

# წუგი ჩვენახუროდ

ბოსტნეულობის ფარდულში შემოეტანათ ხილი — მეურნეობის ნაკვეთზე სულ ახალდაკრეფილი. რიგი არ ჩანდა... ფარდულში სხვა რამეც ეწყობო ბლომად; ერთადერთ კაცთან შევჩერდი: თქვენთან მიწვეს-თქო დგომა?

— არა, ბატონო, ჩემს შემდეგ, ერთი მაღალი კაცია, ჭურჭლისთვის სახლში გაბრუნდა, ლურჯი ხალათი აცვია.

— კეთილი! მაშინ იმ კაცის უკან დავიჭერ ალაგს, ხილის გულისთვის ვერ შევქმნი კამათს და ხათაბალას.

— ჰო, მაგრამ იმის მომდევნო იყო გამხდარი ბიჭი, ადგილი რომ დავუკარგო, დაიწყებს მერე ღინჭილს. ბიჭუნას შემდეგ კაცი დგას, სწეული, კუჭის წყლულით, „ექიმს ვნახავ და მოვალ“ — შემოგვეხვეწა გულით. ავადმყოფს უკან გოგონა დგას მოხდენილი, სრული, სახლმმართველთან მაქვს საქმეო, იფიცა დედის სული. (ვთქვარო: ეშმაკმა დაწყევლოს, მასხრად მიგდებენ განა?)

— ალბათ, იმ კობტა გოგონას უკან სხვაც ბევრნი დგანან?

— შემდეგ მეზობლის ქალი დგას, შეთხუბნულია მაზით, ლამის ინტარქტი დაგვმართოს და გადაგვრიოს ბრაზით.

— ბატონო! — შევაწყვეტინე, — გთხოვ, მეც დამიგდოთ ყური: გამოდის, რომ ჩვენ ვყოფილვართ ყველაზე უსაქმურნი?

— უსაქმურიო? ვინ ვითხრათ? არ გეთანხმებით მაგაში; ახლა მეც უნდა-გავვარდე, აქვე, ბავშვი მყავს ბავაში. ჩემს წინ თორმეტი კაცია, ყველა დაგრჩებით მადლიერ... «გავარდა». „რიგში“ მე დავრჩი ცხრამეტი კაცის მაგიერ.

ბ. ზეონია

**აქას** წინათ გობის უდაბნოში საბჭოთა და მონღოლმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს დინოზავრის კვერცხები, რომლებიც რამდენიმე მილიონი წლის წინ მცხოვრებ ცხოველებს ეკუთვნოდა.

როდესაც ისიდორემ დილით მუზეუმის კარები გააღო, ადგილზე გახევდა: დარბაზში ვეებერთელა დინოზავრი დააბოგებდა და საშინლად გრძელ კუდს კედლების ირგვლივ გამწვრივებულ მაგიდებს უყვამუნებდა.

დირექტორმა მკაცრად მოიხედა უკან და დარაჯს უხმო.

— რატომ შემოუშვი ეს ცხოველი აქ? — გაუჯავრდა მოხუცს.

— ბატონო ისიდორე, მე მთელი ღამე არ მეძინა და მუზეუმში არც ერთი სულიერი არ შემიშვია, — გაასასვა ხელები დარაჯმა. დირექტორი გაოცდა.

შემთხვევის ადგილზე თავი მოიყარა მუზეუმის ყველა განყოფილების მუშაკმა. ისინი ცნობისმოყვარეობით შეცქეროდნენ უცნაურ ცხოველს, რომელიც საკმაოდ ვრცელ დარბაზში ძლივს ეგოდა.

— ფანჯრები დაკეტილი იყო? — იკითხა ისიდორემ.

— დიას!

— შეიძლება, ძველი საკვამლე მილიდან ჩამოძვრა.

— ეს შეუძლებელია, რადგან იგი მესანძრეებმა ჯერ კიდევ შარშან ამოკეტეს.

— აბა, მაშ საიდან გაჩნდა?

— ?

— შესაძლებელია, ზოობარკიდან გამოექცათ, — თქვა მუზეუმის დაცვის უფროსმა, — მე მახსოვს, ერთხელ ლომი გაეპარათ და საბავშვო ბაღში დაიჭირეს გოგონებმა.

— არა, — თქვა ქვის ხანის განყოფილების გამგემ, — აქ სხვა ამბავია: ადგილი შესაძლებელია, რომელიმე ჩვენმა თანამშრომელმა იხუმრა და მეორე დარბაზში შენახული დინოზავრის ძვლებს ახალი ხორცი დააწება.

— კი მაგრამ, დინოზავრი ხომ დადის?! — გაოცდნენ სხვები.

— მე თუ მკითხავთ, — წამოიძახა იხგილოვარის განყოფილების უფროსმა, — ეს მაცივარში შენახული ის დინოზავრი გაცოცხლდა, შარშან რომ ვიბოვეთ ყინულებში.

— ასეთი რამე დღესდღეობით არ ხდება, — შენიშნა დირექტორმა.

— რა დაემართა კვერცხებს? — მოისმა პალეონტოლოგიის განყოფილების უმცროსი მენციერ-მუშაკის ხმა, რომელიც გულამოგლეჯილი ამორბოდა კიბეებზე, — სად არის დინოზავრის კვერცხები, მე რომ ვიბოვნე გობის უდაბნოში?

პალეონტოლოგი დარბაზში შევიდა, მაგრამ იქ, კვერცხის მაგიერ, უზარმაზარი დინოზავრი დახვდა, ხოლო საექსპონატო ვიტრინასთან მხოლოდ ცარიელი ნაჭუჭები ვყარა.

— რამდენჯერ ვითხარით, რამდენჯერ, — აყვირდა იგი, — რომ ითახებს ძალიან ნუ გაათბობთ-მეთქი? ახლა რა უნდა ვქნა? დინოზავრის კვერცხი ხომ იშვიათ ექსპონატს წარმოადგენს მთელ მსოფლიოში.

— მაგას ვინ ჩივს? ვინ დაგვიჯერებს, რომ ეს დინოზავრია! — თქვა დირექტორმა განწირული ხმით.



მთავარი რედაქტორი ნოდარ ლუგავაძე

სარედაქციო კოლეგია:  
ზ. გოლჭავაძე (პ/მზ. მდივანი),  
ს. კლდიაშვილი,  
ნ. მაღალაშვილი,  
ბ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე),  
ნ. ვაშლიძე,  
ო. ბელონი.

საბირისა და იუმორის ჟურნალი „ნაწილი“

თბილისი, რუსთაველი: პრესკაპიტ № 42. Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Няниги». ტელ. რედაქტორის 99-76-69. ტელ. მოადგილის 93-49-32. საერთო განყოფილების 93-10-78.

საბ. კვ ცვ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გალავნა ასაქოვად 12/Х-70 წ. გელმოქვაილია დასაგამად 1/Х1-70 წ. ქალალის ზომა 70x108 1/8. ფიზიკური ნაბაზი ფურცელი 1, პირობითი ნაბაზი ფურცელი 1,4. საბ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ. ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14. შპკ. № 3045. ში № 0227.

ბირაში 116.150.



КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

რაულ ბაგუნაშვილი

1970

70-122

ს. ბ. ლომიძის

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76137



საფრანგო კოლონიალიზმის ლიკვიდაციის საკითხი მომავალად